ინფორმაცია ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 დამატებითი ოქმის შესახებ

ევროკავშირი საქართველოსთვის
unicef for every child
ხელმისაწვდომი მართლმსაჯულება და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება საქართველოში
ENHANCING ACCESS TO JUSTICE AND DEVELOPMENT OF A CHILD-FRIENDLY JUSTICE SYSTEM IN GEORGIA

ძვირფასო მკითხველებო,

მთავრობები, ორგანიზაციები და ზოგადად ხალხი ყველა ქვეყანაში შეთანხმდა, რომ მათი ვალდებულებაა, დაიცვან ბავშვთა უფლებები და აარიდონ ბავშვებს ზიანი. ამისთვის მსოფლიოში მრავალი სამართლებრივი დოკუმენტი შეიქმნა. ბროშურის მიზანია, გაგაცნოთ ამ დოკუმენტთაგან ერთ-ერთი, ყველაზე მნიშვნელოვანი. ის განკუთვნილია უპირველესად ბავშვებისთვის და მათი ოჯახის წევრებისთვის. ბროშურის მიზანია, მოგაწოდოთ ინფორმაცია გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 დამატებითი ოქმისა და მისი გამოყენების შესახებ.

თქვენ გაიგებთ:

- რა არის ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 დამატებითი ოქმი?
- როგორ და როდის უნდა დაუკავშირდეთ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტს?
- რა შეიძლება მოვითხოვოთ და რას უნდა ველოდოთ კომიტეტისგან?

ბროშურაში ასახულია ძირითადი ინფორმაცია გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტთან მიმართვის შესახებ. კითხვების არსებობის შემთხვევაში, გთხოვთ დაგვიკავშირდეთ - ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“, www.phr.ge, თბილისი, ალექსიძის 1, კორპუსი 2, სადარბაზო 1, ბინა 26., ტელ: 032 2 331356.

ინფორმაცია, რომელსაც ამ ბროშურის საშუალებით მიიღებთ, გაავრცელეთ თანატოლებში, ოჯახის წევრებში და გაუზიარეთ ყველა სხვა დაინტერესებულ ადამიანს. განიხილეთ ეს მასალა მეგობრებთან ერთად - თუ როგორ შეიძლება გამოგადგეთ ის საკუთარი და სხვათა უფლებების დასაცავად.

გისურვებთ წარმატებას!

ორგანიზაცია „პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“

რა არის მე-3 დამატებითი ოქმი და რატომაა ის მნიშვნელოვანი?

2011 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ბავშვის უფლებათა კონვენციის კიდევ ერთი, რიგით მე-3 დამატებითი ოქმი მიიღო, რომელიც ძალაში 2014 წელს შევიდა. საქართველოში აღნიშნულ ოქმს 2016 წლის დეკემბერში შეუერთდა, რის შემდეგაც ოქმი იურიდიულად სავალდებულო ძალის მქონე დოკუმენტს წარმოადგენს ქვეყნისთვის. მე-3 დამატებითმა ოქმმა ბავშვის უფლებათა დარღვევის შემთხვევაში, ეფექტური დაცვის მიზნით, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტისთვის პირდაპირი მიმართვის სამართლებრივი საშუალება შექმნა.

კონვენციის მე-3 დამატებითი ოქმი:

მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის ერთადერთი საშუალება ბავშვის უფლებების დასაცავად;

არის უკანასკნელი მეთოდი, რომელიც უნდა გამოვიყენოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს ქვეყანაში ვეცადეთ, მაგრამ ვერ მოხერხდა ბავშვის უფლებების დაცვა;

უშუალოდ ბავშვს აძლევს საშუალებას, მიმართოს კომიტეტს დახმარებისთვის.

კომიტეტის ფუნქციაა, სწრაფად და პროფესიონალურად განიხილოს და რეკომენდაციის სახით დაწეროს შეფასება ბავშვის დარღვეული უფლების შესახებ.

დაიმახსოვრეთ, კომიტეტში მიმართვიანობის მექანიზმი, რომელიც კონვენციის მე-3 დამატებითი ოქმით არის გარანტირებული, მიზნად ისახავს კონვენციის და ოქმის მონაწილე სახელმწიფოების წახალისებას, ქვეყნის შიგნით შექმნან ბავშვებისთვის უფლებების დაცვის ძლიერი მექანიზმები.

ვინ და როდის შეიძლება მიმართოს კომიტეტს?

იმისათვის, რომ ადვილად და სწორად გამოვიყენოთ კომიტეტთან მიმართვიანობის მექანიზმი, უნდა ვიცოდეთ ძირითადი მოთხოვნები, რომლებიც უნდა იქნას დაცული განცხადების ავტორის მიერ.

კომიტეტში განცხადების გაგზავნით იწყება მე-3 დამატებითი ოქმით გარანტირებული პროცედურის გამოყენება. კომიტეტში მიმართვა შესაძლოა წარადგინოს:

- ბავშვმა;
- ბავშვთა ჯგუფმა;
- ბავშვის წარმომადგენელმა (მშობელი, ადვოკატი).

კომიტეტში მიმართვიანობის დროს მოპასუხე მხარეს ის სახელმწიფო წარმოადგენს, რომლის ტერიტორიაზეც დაირღვა ბავშვის უფლებები.

გაითვალისწინეთ, რომ:

- განაცხადის შეტანა შესაძლებელია მხოლოდ იმ დარღვევებზე, რომელიც მოხდა ქვეყანაში ოქმის ძალაში შესვლის შემდეგ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული დარღვევები დაიწყო ოქმის ძალაში შესვლამდე და გრძელდება ძალაში შესვლის შემდეგაც;
- განაცხადი არ შეიძლება იყოს ანონიმური;
- განაცხადი უნდა იყოს შედგენილი წერილობით და იყოს ხელმოწერილი;
- აუცილებელია განცხადების ავტორმა ქვეყნის შიგნით არსებული ყველა სამართლებრივი საშუალება (მაგალითად, სასამართლო) გამოიყენოს უფლების დასაცავად და წარუმატებლობის შემთხვევაში მიმართოს კომიტეტს დახმარებისთვის;
- კომიტეტს განცხადება უნდა გაეგზავნოს ქვეყანაში არსებული სამართლებრივი დაცვის ყველა შესაძლო საშუალების ამოწურვიდან 1 წლის განმავლობაში. აღნიშნული ვადა მკაცრად

კონტროლდება, რაც ნიშნავს იმას, რომ 1 წლის გასვლის შემდეგ წარდგენილ განცხადებას კომიტეტი არ მიიღებს;

• განცხადებაში ნათლად უნდა იყოს აღწერილი, თუ რომელი უფლების დარღვევაზეა საუბარი და თან ახლდეს ყველა შესაბამისი მტკიცებულება, რაც ადასტურებს უფლების დარღვევას.

განაცხადი წარდგენილი უნდა იყოს ბავშვის უფლებათა კომიტეტის სამდივნოში, შემდეგ მისამართზე:

ბავშვის უფლებათა კომიტეტი (CRC)

ადამიანის უფლებათა ხელშეკრულებების განყოფილება (HRTD)

ადამიანის უფლებების უმაღლესი კომისრის ოფისი (OHCHR)

UNOG-OHCHR; CH-1211 Geneva 10 (Switzerland);
TEL.: +41 22 917 91 41; FAX: +41 22 917 90 08; E-MAIL: crc@ohchr.org

განცხადების წარდგენის შემდეგ კომიტეტი იღებს შემდეგი ორი გადაწყვეტილებიდან ერთ-ერთს:

✗ უარს ამბობს განცხადების მიღებაზე (დაუშვებლად ცნობს);

✓ დასაშვებად ცნობს განცხადებას და განიხილავს მას.

იმ შემთხვევაში, როცა განცხადება განსახილველად არის მიღებული, კომიტეტი სახელმწიფოს უკავშირდება და ითხოვს პასუხს განცხადებაში აღწერილ ფაქტებზე.

პროცედურების თანახმად, მოპასუხე სახელმწიფოს განსაზღვრული აქვს 6 თვე იმისათვის, რომ კომიტეტს წარუდგინოს მოსაზრებები და კომენტარები განაცხადთან დაკავშირებით.

როგორ მუშაობს კომიტეტი?

- ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ საქმეზე გამოტანილ გადაწყვეტილებას აქვს სარეკომენდაციო ხასიათი;
- კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს განცხადების და მასში მითითებული მტკიცებულებების, ასევე სახელმწიფოს მიერ მიწოდებული პასუხისა და შესაბამისი მტკიცებულებების საფუძველზე;
- კომიტეტი უფლებამოსილია დანიშნოს საქმეზე ზეპირი მოსმენა;
- კომიტეტს ასევე აქვს უფლება შეკრიბოს ინფორმაცია სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციებისგან და ეს მასალა საფუძვლად დაუდოს განაცხადის გადაწყვეტას;
- ბავშვის უფლების დაცვის მიზნით, კომიტეტს შეუძლია ჩაატაროს ზეპირი მოსმენა და კომიტეტში მიიწვიოს თავად ბავშვი იმ მიზნით, რომ უშუალოდ გაესაუბროს და გაითვალისწინოს ბავშვის სურვილები და მოსაზრებები;
- კომიტეტი ასევე ზრუნავს იმაზე, რომ განცხადების განხილვის პროცესში მოპასუხე ქვეყანაში ბავშვს ან მის ოჯახს არავინ მიაყენოს შეურაცხყოფა ან არავინ სცადოს მათი უფლებების კიდევ ერთხელ დარღვევა;
- ყველა პროცედურა და კომუნიკაცია მხარეებთან უნდა მიმდინარეობდეს ბავშვისთვის გასაგებ ენაზე, შესაფერისი ფორმით, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ბავშვის უფლებებს იცავს ზრდასრული ადამიანი.

არის თუ არა საქმეზე მორიგების შესაძლებლობა?

დიახ, მოპასუხე სახელმწიფოს უფლება აქვს მიმართვის ავტორს (უფლების დარღვევის მსხვერპლს, ანუ ბავშვს) განცხადების განხილვის ნებისმიერ ეტაპზე შესთავაზოს **„მეგობრული შეთანხმება“** ანუ **„მორიგება“**, რომლითაც დააკმაყოფილებს მის მთავარ მოთხოვნებს, დარღვეული უფლების აღდგენის მიზნით. მორიგების შემთხვევაში კომიტეტი წყვეტს საქმის შესწავლას.

რა შეიძლება მოვითხოვოთ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე?

ძალიან მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ კომიტეტს უფლება აქვს, მიმართვის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, ბავშვის მიმართ შესაძლო გამოუსწორებელი ზიანის თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფოს მოსთხოვოს **„დროებითი ხასიათის“** ღონისძიებების გატარება.

მაგალითად - ბავშვის ქვეყნიდან ბავშვის სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის (ექსტრადიცია) შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერება, ან სხვა იმგვარი მოქმედებების განხორციელებისგან თავის შეკავების მოთხოვნა, რამაც შესაძლოა ისეთი ზიანი მიაყენოს ბავშვს, რომლის გამოსწორება შეუძლებელი გახდება.

რა ენაზე იწერება განაცხადი?

განაცხადის წარდგენა კომიტეტში შესაძლებელია კომიტეტის რომელიმე ოფიციალური ენის გამოყენებით: ინგლისური, ფრანგული, ესპანური, რუსული, არაბული, ჩინური. ამასთან, კომიტეტის მხრიდან განაცხადის განხილვა უფრო სწრაფად მოხდება, თუ განაცხადი წარდგენილი იქნება კომიტეტის 3 სამუშაო ენის გამოყენებით: ინგლისური, ფრანგული, ესპანური.

ხდება თუ არა გადაწყვეტილების აღსრულებაზე დაკვირვება?

მე-3 დამატებითი ოქმი ითვალისწინებს გადაწყვეტილებათა აღსრულებაზე კომიტეტის მიერ დაკვირვების შესაძლებლობას. ეს პროცედურა რამდენიმე კომპონენტისგან შედგება:

- შესაძლოა მოპასუხე სახელმწიფოს ეთხოვოს მიაწოდოს ინფორმაცია კომიტეტს მის მიერ გატარებული ყველა სახის ღონისძიების შესახებ, რეკომენდაციების მიცემიდან **6 თვის განმავლობაში;**

- კომიტეტს უფლება აქვს, მოსთხოვოს სახელმწიფოს კონვენციის და დამატებითი ოქმების აღსრულების შესახებ გაეროში სავალდებულოდ წარსადგენ ანგარიშებში აღწეროს, თუ რა განახორციელა დარღვეული უფლებების აღსადგენად ამ კონკრეტულ საქმეზე;

- კომიტეტს თავად აქვს უფლება თითოეულ საქმეზე კონკრეტული ინფორმაცია მიაწოდოს გაეროს გენერალურ ასამბლეას, სახელმწიფოს მიერ, რეკომენდაციების აღსრულების მიმართულებით, განხორციელებული მოქმედებებისა თუ უმოქმედობის შესახებ.

შეგვიძლია თუ არა მოვითხოვოთ კომპენსაცია?

2016 წლის საკანონმდებლო ცვლილებების თანახმად, საქართველოს კანონმდებლობას დაემატა ჩანაწერი, რომლის საფუძველზეც, ბავშვს, რომელმაც მიმართა ბავშვის უფლებათა კომიტეტს მე-3 დამატებითი ოქმის გამოყენებით და კომიტეტმა დაადასტურა ბავშვის უფლების დარღვევის ფაქტი, აქვს უფლება, სახელმწიფოს მიერ, უფლების დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით მიმართოს საქართველოს სასამართლოს. ამისათვის სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს, კომიტეტის მიერ საბოლოო რეკომენდაციების გაცემიდან, 6 თვის განმავლობაში. აღნიშნულ სარჩელზე სახელმწიფო ბაჟი არ არის დაწესებული.

კომიტეტში მიმართვის პროცედურები გრაფიკული სახით



საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

მისამართი: ნინო რამიშვილის 6, თბილისი, 0179
ტელეფონი: 032234499/2913814/2913815/2913841
2913842/2913843/2913875
ფაქსი: +99532 2913841
ელ-ფოსტა: info@ombudsman.ge
ცხელი ხაზი: 1481

,,პარტნიორობა ადამიანის უფლებებისთვის“ (PHR)

მისამართი: ქ. თბილისი, ალექსიძის ქ.1, კორპუსი
2, სადარბაზო 1, ბინა 26;
ტელეფონი: 0322331356
ელ-ფოსტა: info@phr.ge

იურიდიული დახმარების სამსახური
(მომსახურება უფასოა)

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი № 140ა,
თბილისი, საქართველო, 0102
ტელეფონი: 0322 920055
ელ-ფოსტა: info@legalaid.ge

PHR
პარტნიორობა
ადამიანის
უფლებებისთვის

წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით.
პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია.